

# “საქართველოში ტაქსის მომსახურება ძარიან იაფია, მომავალში საფასური უნდა გაიზარდოს”



თბილისის მერმა ვახა კადაძემ „პარიტრანიუსის“ გადაცემაში „360 გრადუსი“ ტაქსების რეგულაციებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველოში ტაქსით მგზავრობა ძარიან იაფია.

ამ ეტაპზე 20 ათასამდე ადამიანია, ვინც ტაქსის საქმანობის რიცხვშია მიიღო. მეორე ეტაპზე აუცილებელი იქნება ავტომობილს ტექნიკური ინსპექტირება ჰქონდეს გავრილი და იყოს თეთრი ფერის. ამასთან, ტაქსის მძღოლები გარკვეული შეღავათებითაც შეძლებენ სარგებლობას.

*კერძოდ, იმისთვის, რომ ავტომობილის გადაღებვაზე ხარჯი არ გასწიონ, ამ მომსახურებას სარეკლამო კომპანიები უზრუნველყოფს. გათავისუფლებულნი იქნებიან საშემოსავლოსგან, ასევე ავტომობილზე იქნება სპეციალური ადგილი გამოყოფილი, რომ პირებმა რეკლამა განათავსონ. ამ მხრივ ტაქსის მძღოლებს სარეკლამო კომპანიებთან მერია დაეხმარება, ხოლო რეკლამებიდან მიღებული თანხა მათი საკუთრება იქნება. საჩუქრად გადაეცემათ ტაქსის მანათობელი ნიშანიც, ასევე ვაუჩერი ავტომობილის დასუფთავებისთვის. გარდა ამისა, ქარაქის მასშტაბით, გამოყოფილია მათთვის უფასო საპარკინგე ადგილები.*

რაც შეეხება შეზღუდვებს, მარჯვენასააჭიანი და ორკარიანი ავტომობილებით „ტაქსაობის“ აკრძალვა, რა თქმა უნდა, გარკვეული

ოდენობით ტაქსის რაოდენობას შეამცირებს. ამასთან, მომავალში ტაქსით მომსახურების საფასურიც უნდა გაიზარდოს, რადგან სხვა ქვეყნებს თუ შევადარებთ, საქართველოში დღეს ტაქსის მომსახურება ძალიან იაფია,“- აღნიშნა კარაძემ.

მომავალი წლის ოქტომბრიდან დედაქალაქში ტაქსების რეფორმის მე-2 ეტაპი ამოქმედდება, რომლითაც მარჯვენასააჭიანი, ორკარიანი ავტომობილები ტაქსით მომსახურებას ვეღარ განახორციელებენ.